ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

# დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. მაისის 15 № 9 თბილისი

## შინაარსი

**სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება**

**36.** საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ „სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების თაობაზე" გამოცემული ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.

**სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი**

**37.** „მარცვლეული, პარკოვანი, ბურღულის, ბრინჯისა და ზეთოვანი კულტურების გადამუშავებისათვის სამინდე გამოსაღების გაუქმების თაობაზე" გამოცემული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

**38.** საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს შესახებ.

ბარ.ესის სახ. საქ. საბჭოთა
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

**36. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ „სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების თაობაზე" გამოცემული ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.**

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 30 იანვრის დადგენილებისა „სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1940 წ. № 3, მუხ. 82) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1933 წლის 25 მარტის დადგენილება „სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარებისა და 1933 წელს მატყლის დამზადების გეგმის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 10, მუხ. 137).

2. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1934 წლის 23 იანვრის დადგენილება „1934 წელს სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ" (საქ. სსრ., კან. კრ. 1934 წ. № 2, მუხ. 44).

3. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1935 წლის 11 მარტის დადგენილება „1935 წელს სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 9, მუხ. 49).

4. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1936 წლის 23 აპრილის დადგენილება „1936 წ. სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 14, მუხ, 81).

5. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 29 იანვრის დადგენილება „1939 წელს სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ" (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 3, მუხ. 11).

| | |
|---|---|
| საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს | საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის |
| თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.** | მდივანი **კ. ჩარკვიანი.** |

1940 წ. აპრილის 21. № 697.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

**37. „მარცვლეული, პარკოვანი, ბურღულის, ბრინჯისა და ზეთოვანი კულტურების გადამუშავებისათვის სამინდე გამოსაღების გაუქმების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 აპრილის დადგენილების შესაბამისად, „მარცვლეული, პარკოვანი, ბურღულის, ბრინჯისა და ზეთოვანი კულტურების გადამუშავებისათვის სამინდე გამოსაღების გაუქმების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 9, მუხ. 238) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

**1.** დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაირწმუნებულებს:

ა) ფართოდ განუმარტონ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და თითოეულ კოლმეურნეობას, რომელთაც წისქვილები აქვთ, რომ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 15 აპრილის დადგენილების თანახმად ყველა სახელმწიფო, საკოლმეურნეო და კოოპერატიულ წისქვილში, ბურღულსაღერღსა და ზეთსახდელებში მარცვლეული, პარკოვანი, ბურღულის, ბრინჯისა და ზეთოვანი კულტურების გადამუშავებისათვის სამინდე გამოსაღების გადახდევინება ნატურით გაუქმებულია 1940 წლის 1 ივლისიდან და მის ნაცვლად დაწესებულია ფულადი საფასური ზემოთაღნიშნული კულტურების გადამუშავებისათვის.

ბ) უზრუნველჰყონ, რათა წისქვილებმა 1940 წლის 10 ივლისამდე ჩააბარონ „ზაგოტზერნოს“ დამამზადებელ პუნქტებს სამინდე გამოსაღები; მთელი მარცვალი და მზესუმზირა, რაც შემოსულია 1940 წლის 1 ივლისამდე.

**2.** დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) შეიმუშაონ და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინონ 1940 წ. 25 მაისამდე მარცვლეული, პარკოვანი, ბურღულის, ბრინჯისა და ზეთოვანი კულტურების იმ წისქვილებსა, ბურღულსაღერღსე და ზეთსახდელებში გადამუშავების ფულადი საზღაურის რაოდენობა, რომლებიც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, კოოპერატიულ და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს ეკუთვნის.

ბ) უზრუნველჰყონ რაიმიწგანების მეშვეობით იმისადმი ხელმძღვანელობა, რომ კოლმეურნეობათა გამგეობებმა, 1940 წლის 1 მაისამდე დააწესონ ფულადი საზღაური კოლმეურნეობათა კუთვნილ წისქვილებსა, ბურღულსაღერღსა და ზეთსახდელებში მარცვლეული, პარკოვანი, ბურღულის, ბრინჯისა და ზეთოვანი კულტურების გადამუშავებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მშრომელთა დეპუტატების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს საჭირო დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს იმ მხრივ, რომ შეაკეთონ არსებული წისქვილები და მოიყვანონ ისინი სრულ წესრიგში, აგრეთვე მოაწყონ წყლისა და ქარის ახალი წისქვილები კერძოდ:

ა) გასწმინდონ ყველა წისქვილი ბეღლის მავნებლებისაგან და ჩაატარონ შათი დეზინსექცია ახალი მოსავლის მარცვლის შემოსვლამდე, ხოლო შემდეგში სისტემატიურად ჩაატარონ გაწმენდა და დეზინსექცია;

ბ) დააყენონ დაფქულისა და დაფქვის ფულადი საზღაურის შემოსვლის აღრიცხვა, რისთვისაც შემოიღონ საფქვავი წიგნები და ქვითრები დამფქველთათვის მისაცემად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაში მიაწოდოს წისქვილების მქონე კოლმეურნეობებს ფულადი საზღაურის გადახდევინების წესი (ქვითრები, ფულის მიღება და სხვ.) აგრეთვე დაფქვისათვის ფულადი საზღაურის შემოსვლის აღრიცხვის წესი და ფორმები.

5. გაუქმდეს 1940 წლის 1 ივლისიდან:

ა) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 22 დეკემბრის დადგენილება „სამინდე გამოსაღების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 2, მუხ. 34; № 4, მუხ. 57, № 25, მუხ. 326; 1934 წ. № 10, მუხ. 92);

ბ) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 23 აგვისტოს დადგენილება „სამინდე გამოსაღების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 14, მუხ. 101).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აპრილის 28. № 723.
თბილისი.

---

## 38. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის დებულების მე-14 მუხლის შესაბამისად, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 53, მუხ. 458), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დებულება, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტთან.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულება აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს საოლქო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ხელოვნების საქმეთა განყოფილების შესახებ.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს დებულება „საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სანახაობათა და რეპერტუარისადმი კონტროლის მთავარ სამმართველოს შესახებ“, დამტკიცებულ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 33, მუხ. 250).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აპრილის 28. № 728.
თბილისი.

---

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს შესახებ.**

### I. საერთო დებულებანი.

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო წარმოადგენს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის რესპუბლიკურ ორგანოს და ანხორციელებს ყოველგვარი სახის ხელოვნების ხელმძღვანელობას, გარდა კინემატოგრაფიისა, უშუალოდ ხელმძღვანელობს რესპუბლიკური მნიშვნელობის ყველაზე მნიშვნელოვან სამხატვრო საწარმოებსა და დაწესებულებებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული სიის მიხედვით და აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტის ხელოვნების საქმეთა განყოფილების მეშვეობით ხელმძღვანელობს ადგილობრივი ქვემდებარეობის სამხატვრო საწარმოებსა და დაწესებულებებს.

## II. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გამგებლობის საგანი.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო:

ა) განიხილავს და დაამტკიცებს რესპუბლიკური ქვემდებარეობის თეატრებისა და საკონცერტო დაწესებულებათა რეპერტუარს, აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელოვნების საქმეთა განყოფილების მეშვეობით წარმართავს და კონტროლს უწევს ადგილობრივი ქვემდებარეობის სამხატვრო-სანახაობათა საწარმოების რეპერტუარს;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად ურდგენს წინადადებას გამოჩენილი საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწეებისათვის, მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების მოღვაწეებისათვის ძეგლეპის აგების შესახებ, დიდი ისტორიული მოვლენებისადმი მიძღვნილ არქიტექტურულ-საქანდაკო ნაგებობათა პროექტებს; განიხილავს და დაამტკიცებს რაიონულ ცენტრებსა, მუშათა დაბებსა, და დიდ საქარხნო საწარმოებში ასაგები ძეგლების პროექტებს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტს დასამტკიცებლად წარუდგენს რესპუბლიკურ და საოლქო ცენტრებში ასაგებ ძეგლთა პროექტებს;

გ) აწყობს სამხატვრო გამოფენებს, კონკურსებს, ოლიმპიადებს, დათვალიერებას პროფესიული და თვითმოქმედი ხელოვნების სხვადასხვა დარგებში;

დ) იძენს მხატვრულ ნაწარმოებებს სახელმწიფო სამხატვრო გალერეებისა და მუზეუმების ფონდის შესავსებად;

ე) ანხორციელებს საერთო მეთოდიურ ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევს პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ საგანმანათლებლო დაწესებულებებს მხატვრული თვითმოქმედების განვითარების საქმეში და ახდენს პროფკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვა უწყებების მუშაობის კორდინაციას მხატვრული თვითმოქმედების დარგში;

ვ) თვალყურს ადევნებს იმ ორგანიზაციათა საქმიანობას, რომლებიც აერთიანებენ ხელოვნების სხვადასხვა დარგების (საბჭოთა კომპოზიტორების კავშირი, საბჭოთა მხატვრების კავშირი, საბჭოთა არქიტექტორების კავშირი, საქმხატვარი და სხვ.) მუშაკებს;

ზ) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტთან წინასწარი შეთანხმებით გასცემს ნებართვებს სამხატვრო-სანახაობათა ნაწარმოების, სასწავლებლების გახსნისა და ლიკვიდაციის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აწესრიგებს თეატრების ანსამბლებისა და ცალკეულ შემსრულებელთა გასტროლებს;

თ) ანხორციელებს სანახაობათა და რეპერტუარის (თეატრი, მუსიკა, ესტრადა, ცირკი), სანახაობათა რეკლამის, სამხატვრო ხმოვანი ჩანაწერის, ფერწერისა და ქანდაკების ნაწარმოებთა სახელმწიფო კონტროლს;

ი) მთავრობისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის მითითებათა შესაბამისად, აწესრიგებს თეატრების, ცირკების, საკონცერტო დარბაზების, მუზეუმების, სამხატვრო გამოფენების ბილეთების ფასებს, აგრეთვე იმ პროდუქციის ფასებს, რომელსაც სამმართველოს სისტემაში შემავალი საწარმოები უშვებენ;

კ) უშუალოდ ან თავისი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით; დადგენილი წესით, აღძრავს შუამდგომლობას ხელოვნების მუშაკთათვის საპატიო წოდების: რესპუბლიკის სახალხო არტისტის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭების შესახებ;

ლ) აწარმოებს ხელოვნების სხვადასხვა დარგებისათვის საჭირო კადრების მომზადებას, აღრიცხვასა და განაწილებას;

მ) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სისტემაში შემავალ დაწესებულებათა და საწარსოთა ნაკრებ საწარმოო-საფინანსო გეგმებს და კაპიტალური მშენებლობის გეგმებს, უშუალოდ ხელმძღვანელობს რესპუბლიკური ქვემდებარეობის საწარმოებსა და დაწესებულებებში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმების შესრულებას, ხოლო ადგილობრივი ქვემდებარეობის საწარმოებსა და დაწესებულებებში—აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელოვნების საქმეთა განყოფილების მეშვეობით;

ნ) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის მითითებათა შესაბამისად, ატარებს ხელოვნების მუშაკთა შრომის ნორმირებას და შრომის ანაზღაურების დაწესებულ სისტემას და ხელმძღვანელობს სოციალისტური შეჯიბრების გაშლას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დაწესებულებებსა და საწარმოებში;

ო) აწყობს რესპუბლიკური ქვემდებარეობის დაწესებულებათა, საწარმოთა და მშენებლობათა ტექნიკურ და მატერიალურ მომარაგებას; აძლევს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოებსა და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელოვნების საქმეთა განყოფილებას ხელმძღვანელ მითითებებს ადგილობრივი ქვემდებარეობის დაწესებულებათა, საწარმოთა და მშენებლობათა მომარაგების ორგანიზაციის საკითხებზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანხორციელებს კონტროლს მათი მომარაგებისადმი; გამოუყოფს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოებს და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელოვნების საქმეთა განყოფილებას მასალებისა და მოწყობილობის ფონდებს საწარმოთა და დაწესებულებათა მშენებლობისა და საექსპლოატაციო საქმიანობისათვის და დახმარებას უწევს მათ ამ ფონდების რეალიზაციის საქმეში;

ბ) ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა საქმრთველოსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და საწარმოთა წესდებებს, სტრუქტურას, შტატებსა და ხარჯთაღრიცხვებს;

რ) ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამართველოსადმი დაქვემდებარებული რესპუბლიკური ქვემდებარეობის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ანგარიშებსა და ბალანსებს, ამოწმებს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელოვნების საქმეთა განყოფილების ნაკრებ ანგარიშებს, ადგენს სამმართველოს ნაკრებ ანგარიშს, აგრეთვე ანხორციელებს მისადმი დაქვემდებარებული რესპუბლიკური ქვემდებარეობის საწარმოთა და დაწესებულებათა დოკუმენტალურ რევიზიებს.

## III. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სტრუქტურა.

**3.** საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სათავეში სდგას უფროსი.

**4.** საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ხელმძღვანელობას უწევს სამმართველოს მთელ მუშაობას, თავისი კომპენტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მომქმედი კანონების, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებათა და განკარგულებათა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად და ამოწმებს მათს შესრულებას; ნიშნავს სამმართველოს განყოფილებებისა და სექტორების ხელმძღვანელ მუშაკებს და მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს, აგრეთვე ამტკიცებს ადგილობრივი ქვემდებარეობის უდიდეს საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს განსაკუთრებული სიით, რომელსაც სამმართველოს უფროსი დაამტკიცებს.

**5.** საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო ხელმძღვანელობას უწევს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის ხელოვნების საქმეთა განყოფილების მუშაობას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი შეაჩერებს და გააუქმებს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოების და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელოვნების საქმეთა განყოფილების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონებს, მთავრობის დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

**6.** საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს აქვს აპარატის შემდეგი სტრუქტურა:

ა) თეატრების განყოფილება—უშუალოდ განაგებს რესპუბლიკური ქვემდებარეობის თეატრებს და როგორც წესი, რესპუბლიკის ყველა თეატრებს, ხელმძღვანელობს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელოვნების საქმეთა განყოფილების მეშვეობით; ატარებს კონკურსებს საუკეთესო პიესებზე, აწყობს შეკვეთებს პიესების დაწერისა და უცხოეთის და საბჭოთა ავტორების საუკეთესო დრამატიულ ნაწარმოებთა თარგმნის შესახებ; აწყობს და ატარებს აქტიორთა, რეჟისორთა, მხატვართა და სხვა თეატრალურ მუშაკთა შემოქმედებითს თათბირებსა და კონფერენციებს; გეგმავს თეატრების გასტროლებს,—განიხილავს და სამმართველოს უფროსს დასამტკიცებლად წარუდგენს რესპუბლიკური ქვემდებარეობის თეატრების რეპერტუარს და კონტროლს უწევს ადგილობრივი ქვემდებარეობის თეატრების რეპერტუარს;

ბ) მუსიკალურ დაწესებულებათა განყოფილება—უშუალოდ ხელმძღვანელობს რესპუბლიკური ქვემდებარეობის ფილარმონებს, მუსიკალურ კოლექტივებსა და საესტრადო-საკონცერტო ორგანიზაციებს და აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელოვნების საქმეთა განყოფილების მეშვეობით ანხორციელებს ადგილობრივი ქვემდებარეობის ფილარმონიებისა და სხვა მუსიკალურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობას; აწყობს და ატარებს მუსიკალური კოლექტივების, ანსამბლებისა და ცალკეული შემსრულებლების კონკურსებს, ოლიმპიადებსა და დათვალიერებას, აწყობს შეკვეთებს მუსიკალურ და ეესტრადო რეპერტუარზე; იხილავს და ამტკიცებს რესპუბლიკური და ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობრივი ქვემდებარეობის ფილარმონიებისა და საკონცერტო ორგანიზაციათა საწარმოო სარეპერტუარო გეგმებს;

გ) სახვითი ხელოვნების განყოფილება—უშუალოდ ხელმძღვანელობს რესპუბლიკური ქვემდებარეობის მუზეუმებს, გალერეებსა და სახვითი ხელოვნების სხვა დაწესებულებებსა და აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელოვნების განყოფილების მეშვეობით ხელმძღვანელობს ადგილობრივი ქვემდებარეობის მუზეუმებისა და დაწესებულებათა მუშაობას; აწყობს სამხატვრო გამოფენებს და იძენს სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებს სახელმწიფო მუზეუმებისა და გალერეების ფონდის შესავსებად; განიხილავს და სამმართველოს უფროსს დასამტკიცებლად წარუდგენს რაიონულ ცენტრებსა, მუშათა დაბებსა და დიდ საქარხნო საწარმოებში ასაგები ძეგლების პროექტებს, აგრეთვე აშზადებს რესპუბლიკურ და საოლქო ცენტრებში ასაგები ძეგლების პროექტებს, რომლებიც დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტს; დასამტკიცებლად წარსადგენად;

დ) სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის განყოფილება—ანხორციელებს კონტროლს სანახაობებსა და თეატრების, საკონცერტო ორგანიზაციებისა და ესტრადის რეპერტუარზე, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებზე, აგრეთვე საგრამაფონო და ხმოვან ჩანაწერზე (გრამფირფიტები, ტონფილმები) და მხატვრულ რადიოგადაცემებზე;

ე) სასწავლებელთა განყოფილება—განაგებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოების მეშვეობით ხელმძღვანელობს რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის სასწავლებლებს, უწევს მათ ორგანიზაციულ და მეთოდიურ დახმარებას, ხელმძღვანელობს მუშაობას სახელმძღვანელოებისა და სასწავლო წიგნების შედგენის დარგში;

ვ) კაპიტალური მშენებლობის განყოფილება—ხელმძღვანელობს იმ დაწესებულებათა და საწარმოთა მშენებლობას, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან ხელოვნების საქმეთა სამმართველოს; განაგებს საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებს; შეიმუშავებს სამმართველოს სისტემის კაპიტალური მშენებლობის ნაკრებ გეგმებს; აძლევს დასკვნებს იმ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებზე, რომლებიც წარმოდგენილია ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის დასამტკიცებლად, კონტროლს უწევს კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მთელ სისტემაში;

ზ) მხატვრული თვითმოქმედების განყოფილება—ანხორციელებს მხატვრული თვითმოქმედების საერთო მეთოდიურ ხელმძღვანელობას, ახდენს პროფკავშირულ ორგანიზაციათა და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციას ხალხური შემოქმედებისა და მხატვრული თვითმოქმედების დარგში; ხელმძღვანელობს სამხატვრო სტუდიებისათვის, წრეებისათვის, გუნდებისათვის, ორკესტრებისათვის და სხვ. საჭირო კადრების მომზადებას; უშუალოდ ხელმძღვანელობს ხალხური შემოქმედების ცენტრალურ სახლს და აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელოვნების საქმეთა განყოფილების მეშვეობით ანხორციელებს ხალხური შემოქმედების სახლების მუშაობის ხელმძღვანელობას აფხაზეთის და აჭარის ასსრ რესპუბლიკებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში;

თ) საგეგმო საფინანსო განყოფილება—შეიმუშავებს ხელოვნების განვითარების პერსპექტიულ, ხუთწლიან, წლიურ და კვარტალურ გეგმებს; კონტროლს უწევს დამტკიცებული გეგმების შესრულებას; აწარმოებს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს საწარმოთა მუშაობის სტატისტიკურ აღრიცხვასა და ანგარიშგებას; ადგენს ნაკრებ საფინანსო გეგმებს; კონტროლს უწევს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დაწესებულებათა და საწარმოთა დამტკიცებული საფინანსო გეგმების შესრულებას და საფინანსო საქმიანობას; შეიმუშავებს შრომისა და ხელფასის საკითხებს;

ი) ადმინისტრატიულ-სამეურნეო განყოფილება—აწყობს საქმეთა მმართველობას; ხელოვნების საქმეთა სამმართველოს შენობისა და ქონების დაცვას, ადგენს აპარატის მუშაობის საერთო წესს და საერთოდ განაგებს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მთელ ადმინისტრატიულ სამეურნეო საქმეებს;

კ) კადრების განყოფილება—შეიმუშავებს ხელოვნების დაწესებულებებისათვის საჭირო კადრების პერსპექტიულ გეგმებს; ანხორციელებს სამხატვრო-შემოქმედებითი და ადმინისტრატიული კადრების აღრიცხვასა და განაწილებას, ხელოვნების ასქმეთა სამმართველოს უფროსისათვის მოამზადებს წინადადებებს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს და მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა და დაწესებულებათა აპარატის ხელმძღვანელი მუშაკების დანიშვნის შესახებ; არდგენს სასწავლებლებში კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების გეგმებს;

ლ) ცენტრალური ბუხჰალტერია—ანხორციელებს საბუხჰალტრო აღრიცხვას; ინსტრუქტაჟსა და კონტროლს უწევს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ორგანოების მუშაობას საბუხალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში; განიხილავს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დაწესებულებათა და საწარმოთა ანგარიშებსა და ბალანსებს და დასამტკიცებლად წარუდგენს მათ სამმართველოს უფროსს; აწარმოებს დოკუმენტალურ რევიზიებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ) არქიტექტურის ინსპექტორი—შეისწავლის და განაზოგადოებს საბჭოთა არქიტექტორების შემოქმედებითს პრაქტიკას; აწყობს საუკეთესო არქიტექტურული პროექტებისა და ნამუშევრების გამოფენებსა და დათვალიერებას, ატარებს, კონკურსებს არქიტექტურულ ნაგებობებზე და ანხორციელებს სამხატვრო კონტროლს უდიდეს არქიტექტურულ ნაგებობათა ხარისხისადმი; ხელს უწყობს არქიტექტურაში გამოყენებით ხელოვნების განვითარებას;

ნ) მომარაგების განყოფილება—აწყობს ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, საწარმოთა და მშენებლობათა მომარაგებას მასალებითა და მოწყობილობით, აგრეთვე ანაწილებს მათ შორის მასალებისა და მოწყობილობის ფონდებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით ანხორციელებს რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის დაწესებულებათა, საწარმოთა და მშენებლობათა მომარაგების ხელმძღვანელობას და კონტროლს;

ო) იურისკონსულტი — აწარმოებს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს საქმეებს რესპუბლიკის ყველა სასამართლო და საარბიტრაჟო ორგანოში, შეიმუშავებს იურიდიული ხასიათის ყველა დოკუმენტს, იძლევა დასკვნებსა და რჩევა-დარიგებას სამართლის ყველა იმ საკითხებზე, რომელიც ხელოვნების საქმეთა სამმართველოსა და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში წამოიჭრება;

პ) სპეცგანყოფილება (საიდუმლო ნაწილით);

რ) სახანძრო ინსპექცია;

ს) არქივი.

7. ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენების მიზნით, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსთან ეწყობა სამხატვრო საბჭო, რომელიც მოიწვევა წელიწადში სამჯერ მაინც. საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის წარდგენით.

8. გამოცდილების გაზიარების, აგრეთვე კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის მიზნით, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ყოველთვიურად მოიწვევს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს აქტივის კრებას, რომელზედაც მოსმენილი და განხილული იქნება მოხსენებანი პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ.

9. აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოები და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელოვნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეთა განყოფილება წარმოადგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ადგილობრივ ორგანოებს.

**10.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში იქმნება თანამდებობა ხელოვნების საქმეთა ინსპექტორისა, რომელიც მუშაობს სათანადო რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოების და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელოვნების საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელობით.

---

ზარქვის სახ. საქ. სახლ.
ბიბლ.

Ц Всесоюзная Грузин. С.
г. Тбилиссе

П. 521/300

**გამომცემელი: საქართველოს სსრ ხალხთა კომისართა საბჭო**

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

**ფასი 40 კაპ.**

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმ. № ბ—1746 შეკვ. № 724 ტირაჟი 2000